პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი, 1944 წ. № 215 (7168). ფასი 20 კაპ.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი ნიირედხაზა.

კარელიის ფრონტის ჯარებმა პეტსამოს დასავლეთით გაათავისუფლეს პეჩენგის (პეტსამოს) ოლქის დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები—ნიკელი, ახმალახტი, სალმიიარვი.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით, გადავიდნენ შეტევაზე, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში სიღრმით 30 კილომეტრზე და ფრონტით 140 კილომეტრზე.

დიდება ძლევამოსილი წითელი არმიის მამაც მეომრებს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა დღეს, 22 ოქტომბერს, ცხენოსანი ჯარისა და სატანკო შენაერთების სწრაფი დარტყმის შედეგად, დაიკავეს ქალაქი **ნიირედხაზა** — კომუნიკაციების დიდი კვანძი და მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი უნგრეთის ტერიტორიაზე.

ქალაქ **ნიირედხაზის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **პლიევის**, გენერალ-ლეიტენანტ **გორშკოვის**, გენერალ-მაიორ **გოლოვსკის**, პოლკოვნიკ **რევის**, გენერალ-მაიორ **ბრიგოროვიჩის** ყუბანელმა და დონელმა კაზაკმა კავალერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კურკინის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ახმანოვის**, პოლკოვნიკ **გეზნოშჩენკოს**, პოლკოვნიკ **შტანკოს**, პოდპოლკოვნიკ **ვორონინის**, პოდპოლკოვნიკ **ივლიევის** ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ფომინის**, პოლკოვნიკ **მარჩენკოს**, პოლკოვნიკ **ნოვგოროდსკის** არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **გორიუნოვის**, პოლკოვნიკ **იუდაკოვის**, პოლკოვნიკ **გეიგოს**, პოდპოლკოვნიკ **შუტეევის**, პოლკოვნიკ **დევიატოვის**, პოდპოლკოვნიკ **პიატაკოვის**, მაიორ **პოპოვის** მფრინავებმა; პოდპოლკოვნიკ **კოლოსოვის**, მაიორ **ხოდარევის**, მაიორ **გუსოვის** მესანგრეებმა; პოდპოლკოვნიკ **სტრელეცკის**, მაიორ **ჩეპელევის**, პოლკოვნიკ **კარპოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ნიირედხაზის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 ოქტომბერს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ნიირედხაზა**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ნიირედხაზის** დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 ოქტომბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მერეცკოვს

კარელიის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც იმიერ-პოლარეთის ძნელ პირობებში განაგრძობდნენ შეტევას **პეტსამოს** დასავლეთითა და სამხრეთ დასავლეთით, გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ნიკელის წარმოების მთელი რაიონი და ბრძოლებით დაიკავეს პეჩენგის (პეტსამოს) ოლქის დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები — **ნიკელი, ახმალახტი, სალმიიარვი.**

ნიკელის წარმოების რაიონის და დასახლებული პუნქტების **ნიკელის, ახმალახტისა** და **სალმიიარვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შჩერბაკოვის**, გენერალ-მაიორ **კორეტკოვის**, გენერალ-მაიორ **მიკულსკის**, გენერალ-მაიორ **აბსალიამოვის**, გენერალ-მაიორ **შუკოვის**, პოლკოვნიკ **სოლოვიოვის**, პოლკოვნიკ **გრებენკინის**, გენერალ-მაიორ **პანინის**, პოლკოვნიკ **კავერინის**, პოლკოვნიკ **კალინოვსკის**, პოლკოვნიკ **კოშჩიენკოს**, გენერალ-მაიორ **ხუდალოვის**, პოლკოვნიკ **ლისენკოს**, პოლკოვნიკ **გლაკის**, პოლკოვნიკ **ამვროსოვის**, პოდპოლკოვნიკ **ევმენოვის**, პოლკოვნიკ **ნიკანდროვის**, პოლკოვნიკ **სტარცევის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **დეგტიარიოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პანიტკინის**, პოლკოვნიკ **გრიგოროვიევის**, პოლკოვნიკ **იაროსლავცევის**, პოლკოვნიკ **ბაშკოვის**, პოლკოვნიკ **უსანოვის**, პოდპოლკოვნიკ **იუსოვის**, პოლკოვნიკ **პერლოვის**, პოდპოლკოვნიკ **ზუბარიოვის**, პოდპოლკოვნიკ **შაპირის**, პოდპოლკოვნიკ **შეპელის**, პოდპოლკოვნიკ **გერეზინის**, მაიორ **ფეტისოვის**, მაიორ **დავიდენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ტიტოვჩევის**, პოდპოლკოვნიკ **კოზლოვის**, პოლკოვნიკ **ბანდიუკევიჩის**, პოდპოლკოვნიკ **როგოვოს** არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **პუშკარიოვის**, პოლკოვნიკ **მინაევის**, პოლკოვნიკ **ლარიუშკინის**, პოლკოვნიკ **უდონინის**, პოლკოვნიკ **კალუგინის**, პოლკოვნიკ **პოგრებეშაევის**, პოლკოვნიკ **ფინოგენოვის** მფრინავებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კონონოვის**, პოდპოლკოვნიკ **არშინევსკის**, პოლკოვნიკ **იურენკოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტარჩილინის**, პოდპოლკოვნიკ **ტერენტიევის**, პოდპოლკოვნიკ **კორშუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **ლეშჩენკოს**, პოდპოლკოვნიკ **სუჩკოვის** ტანკისტებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ხრენოვის**, პოლკოვნიკ **ლეონჩიკის**, პოდპოლკოვნიკ **არშბას**, პოდპოლკოვნიკ **ზახაროვის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **დოროხინის**, პოლკოვნიკ **ეკიმოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი **ნიკელის, ახმალახტის, სალმიიარვის** რაიონის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 ოქტომბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს კარელიის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც **გაათავისუფლეს ნიკელის, ახმალახტის, სალმიიარვის** რაიონი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **ნიკელის, ახმალახტის, სალმიიარვის** რაიონის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 23 ოქტომბერი.

ი. ი. სიუკიაინენი—კარელია-ფინეთის სსრ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი

პეტროზავოდსკი, 22 ოქტომბერი. (საკადესი). კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა იოსებ ივანეს-ძე სიუკიაინენი. (საკადესი).

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გადავიდნენ შეტევაზე, გაარღვიეს გერმანელთა ხანგრძლივი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა, რომელიც აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს იფარავდა, და შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში სიღრმით 30 კილომეტრზე და ფრონტით 140 კილომეტრზე.

ფრონტის ჯარებმა შეტევის მსვლელობაში დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტები — **შირვინდტი, ნაუმიესტისი (ვლადისლავოვი), ვილიუნენი, ვირბალისი (ვერჟბოლოვო), კიბარტაი (კიბარტი), ეიდტკუნენი, შტალუპენენი, მილიუნენი, ვალტერკემენი, პილიუპენენი, ვიუტინეცი, მელკემენი, რომინტენი, გროს რომინტენი, ვიჟაინი, შიტკემენი, ფუშეროსლი, გოლდაპი, ფილიპუვი, სუვალკი** და ბრძოლებით დაიკავეს 900-მდე სხვა დასახლებული პუნქტი, აქედან 400-ზე მეტი დასახლებული პუნქტი აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გალიცკის**, გენერალ-პოლკოვნიკ **გლაგოლევის**, გენერალ-ლეიტენანტ **შაფრანოვის**, გენერალ-პოლკოვნიკ **კრილოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ლიუდნიკოვის**, გენერალ-მაიორ **პერეკრიოსტოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **კოშევოის**, გენერალ-მაიორ **გურიევის**, გენერალ-მაიორ **კაზარცევის**, გენერალ-ლეიტენანტ **ბეზუგლის**, გენერალ-მაიორ **პერხოროვიჩის**, გენერალ-მაიორ **რიჟიკოვის**, გენერალ-მაიორ **პროვალოვის**, გენერალ-მაიორ **ივანოვის**, გენერალ-მაიორ **ოლეშევის**, გენერალ-ლეიტენანტ **ზავადოვსკის**, გენერალ-მაიორ **ლასკინის**, პოლკოვნიკ **დოროფეიცის**, გენერალ-მაიორ **მასლოვის**, გენერალ-მაიორ **ციგანოვის**, გენერალ-მაიორ **ბურმაკოვის**, გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს**, გენერალ-მაიორ **გოროდოვიკოვის**, გენერალ-მაიორ **პროზინინის**, გენერალ-მაიორ **ისაკოვის**, გენერალ-მაიორ **პეტერსის**, გენერალ-მაიორ **გლადიშევის**, პოლკოვნიკ **ტოლსტიკოვის**, პოლკოვნიკ **ვოლკოვის**, პოლკოვნიკ **კატიუშინის**, პოლკოვნიკ **კოვტუნოვის**, გენერალ-მაიორ **ბერესტოვის**, პოლკოვნიკ **ლევინის**, გენერალ-მაიორ **პოლევიკის**, პოლკოვნიკ **კლიმახინის**, გენერალ-მაიორ **კვაშნინის**, გენერალ-მაიორ **უსაჩოვის**, გენერალ-მაიორ **პოპოვის**, პოლკოვნიკ **ბასანეცის**, პოლკოვნიკ **ბიბიკოვის**, პოლკოვნიკ **კოჟანოვის**, პოლკოვნიკ **კლეცის**, გენერალ-მაიორ **ყაზარიანის**, გენერალ-მაიორ **კალინინის**, პოლკოვნიკ **ცუკარიოვის**, პოლკოვნიკ **დიომინის**, პოლკოვნიკ **რუტკოს**, გენერალ-მაიორ **ჩერნოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ბარსუკოვის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნილოვსკის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **სემიონოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ფედოროვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **დერეშის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **სიომინის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **სალიჩკოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **იაკოვლევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **პოპოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კარსანოვის**, პოლკოვნიკ **კუზნეცოვის**, პოლკოვნიკ **სტრუევის**, პოლკოვნიკ **სედოვის**, პოლკოვნიკ **პოპოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კოლოტილოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **საზონოვის**, პოლკოვნიკ **კულიკოვის**, პოლკოვნიკ **შულგას**, პოლკოვნიკ **სტეპანოვის**, პოლკოვნიკ **მუზიჩენკოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **სადოვნიჩის**, პოლკოვნიკ **ფედოტოვის**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოლკოვნიკ **ლუკიანოვის**, პოლკოვნიკ **პილიპენკოს**, პოდპოლკოვნიკ **კოტმერევსკის**, პოდპოლკოვნიკ **ტერიოხინის**, პოდპოლკოვნიკ **მალცევის**, პოდპოლკოვნიკ **ოსიპჩუკის**, მაიორ **შტეფანის**, პოდპოლკოვნიკ **ვიბორნოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **როდინის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბურდეინის**, პოლკოვნიკ **სემენიუკის**, პოლკოვნიკ **ბურლიგას**, პოლკოვნიკ **ცინჩენკოს**, პოლკოვნიკ **ლოსიკის**, პოლკოვნიკ **გულიგინის**, პოდპოლკოვნიკ **ანტიპინის**, პოდპოლკოვნიკ **შაკინის**, პოლკოვნიკ **დუხოვნის**, პოლკოვნიკ **ბუკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტიმოფეევის**, პოდპოლკოვნიკ **ბურმისტროვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ხრიუკინის**, პოლკოვნიკ **პრუტკოვის**, პოდპოლკოვნიკ **კარიაკინის**, პოლკოვნიკ **ხატმინსკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ნეჩიპორენკოს**, პოლკოვნიკ **ჩუჩევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **მოლოკოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **შევჩენკოს**, პოლკოვნიკ **ზიმინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ზახაროვის**, პოლკოვნიკ **ეგოროვის**, პოდპოლკოვნიკ **როდინის**, პოდპოლკოვნიკ **პილშჩიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **პუშაიდის**, მაიორ **კარაზეევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბარანოვის**, პოლკოვნიკ **ლეიმანის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ზვერევის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **გნედოვსკის**, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **მარინის**, პოლკოვნიკ **ლუკაშენკოს**, პოლკოვნიკ **სოკოლოვის**, პოდპოლკოვნიკ **პოპლავსკის**, პოლკოვნიკ **ვოროგინოვის**, პოლკოვნიკ **ბალანდინის**, პოლკოვნიკ **ჟელეზნიხის**, პოლკოვნიკ **პარხომჩუკის**, პოლკოვნიკ **ხმიროვის**, პოლკოვნიკ **სვეშნიკოვის**, პოლკოვნიკ **ნემიროვსკის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **ბუროვის**, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **სოროკინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პტიცინის**, პოლკოვნიკ **დავიდენკოს**, მაიორ **კოტეევნიკოვის**, პოდპოლკოვნიკ **ლოგვინოვის**, პოლკოვნიკ **პრიხოდაის**, მაიორ **ტარასენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ოვეჩკინის**, პოლკოვნიკ **ბელიშევის**, პოდპოლკოვნიკ **კასიანოვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში შეჭრისას ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 ოქტომბერს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და შეიჭრნენ აღმოსავლეთ პრუსიის ფარგლებში.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრისას ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 23 ოქტომბერი.

საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საპატიო თავმჯდომარეს ბ-ნ პაასიკივის
საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ თავმჯდომარეს ბ-ნ ხელოს

ჰელსინკი

გულითადად ვამადლობთ მისალმებისათვის. ეჭვი არ მეპარება, რომ საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დამყარდება მეგობრული ურთიერთობა ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ბაზაზე.

ი. სტალინი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

პატრიოტული აღფრთოვანებით გატაცებულნი, განსვენებულ პატრიარქ სერგის მოწოდებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებული და მორწმუნენი ომიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში სახსრებს აგროვებდნენ და სწირავდნენ სამხედრო საჭიროებისათვის, კერძოდ — დიმიტრი დონსკოის სახელობის სატანკო კოლონისათვის — და ამით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ იმ ბრძოლის დიად საქმეში, რომელსაც თქვენი უმაღლესი წინამძღოლობით ესოდენ ძლევამოსილად ეწევა მთელი რუსი ხალხი. თქვენი გულითადი პასუხები ჩვენს ცნობებზე ამ პატრიოტულ შენატანთა შესახებ აღაფრთოვანებდნენ შემწირველთ, და მათი რიცხვი მრავლდებოდა. დღეისათვის ამ შენატანთა საერთო ციფრი 150 მილიონამდე მანეთს აღწევს, სხვადასხვაგვარი ძვირფასი ნივთების შეწირვის ჩაუთვლელად.

ომის უეჭველი ახლო დასასრული უკვე სჩანს: ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი და სწრაფი წინსვლა ხმამაღლა მეტყველებენ გერმანული ფაშიზმის მალე განადგურებაზე; და ომის ამ უკანასკნელ ეტაპზე ჩვენს წინაშე სდგებიან ახალი ამოცანები.

მე კეთილდროულად მიგიჩნია მოვუწოდო ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებასა და მორწმუნეთ — ომის ძლევამოსილი დამთავრების მოახლოება აღნიშნონ მამაცი წითელი არმიის მებრძოლთა ბავშვებისა და ოჯახების დამხმარე ფონდისათვის უხვ შეწირულებათა საყოველთაო-საეკლესიო შეგროვებით.

დაე ჩვენი კავშირის ყველა მორწმუნეთა ამ მზრუნველობამ ჩვენი მშობლიური მეომრებისა და დამცველების ბავშვთა და ოჯახთათვის შეუმსუბუქოს მათ დიადი საგმირო საქმე, ხოლო ჩვენ კიდევ უფრო მტკიცე სულიერი კავშირით შეგვაერთოს იმათთან, ვინც თავის სისხლსაც კი არ იშურებს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის!

საქმის დასაწყისისათვის საპატრიარქოს შემოაქვს 1 მილიონი მანეთი.

მოგახსენებთ რა, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, თქვენ, ვისი მუდმივი მზრუნველობაც ვრცელდება რუსი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეზე, ამ ახალი პატრიოტული წამოწყების შესახებ, რომლისკენაც მე მოვუწოდებ რუსეთის ეკლესიას, ეჭვი არ მეპარება, რომ იგი მოწონებას ჰპოვებს თქვენი მხრივ. და ეს კიდევ უფრო წაგვახალისებს ყველა ჩვენ ყველა ღონისძიება ვიხმაროთ იმისათვის, რომ ღირსნი აღმოვჩნდეთ დიდი პატივისა ვიყოთ მონაწილენი ომთან დაკავშირებული იმ საერთო, საყოველთაო-სახალხო საგმირო საქმისა, რომელსაც სათავეში უდგეხართ თქვენ, ჩვენი საყვარელი, ღვთივგბოძებული უმაღლესი ბელადი.

ირწმუნეთ, ღრმადპატივცემულო და ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჩემი წრფელი და ღრმა პატივისცემა.

ალექსი, ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი, პატრიარქის მოსაყდრე.

1944 წლის 10 ოქტომბერი, მოსკოვი. საპატრიარქო.

მოსკოვი

ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტს, პატრიარქის მოსაყდრეს ალექსის

გმადლობთ წითელი არმიის მებრძოლთა ბავშვებსა და ოჯახებზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

საბჭოთა მთავრობის მიერ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ცნობის შესახებ

23 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვმა შემდეგი განცხადება გაუკეთა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს:

„საბჭოთა მთავრობა საჭიროდ სთვლის გაუწყოთ შემდეგი:

საბჭოთა მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა აცნობეს, რომ აღნიშნულ მთავრობებსა და საფრანგეთის ხელისუფალთ შორის მოხდა შეთანხმება საფრანგეთის ადმინისტრაციის გაშგებლობაში საფრანგეთის შიდა ზონის დაწესების შესახებ, რომელშიც შედის პარიზიც. საბჭოთა მთავრობას შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა აგრეთვე აცნობეს, რომ ამასთან ერთად ორივე აღნიშნული მთავრობა გააკეთებს განცხადებას საფრანგეთის დროებითი მთავრობის ცნობის შესახებ.

საბჭოთა კავშირი, რომელიც მუდამ მეგობრულად ეპყრობა დემოკრატიულ საფრანგეთს, მიესალმება შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებს. ამასთან საბჭოთა მთავრობა მხედველობაში იღებს საფრანგეთის დროებითი მთავრობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებას, აგრეთვე იმას, რომ სამი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ საფრანგეთის დროებითი მთავრობის ცნობა ხელს შეუწყობს ფრანგი ხალხის კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას და საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის მისი ძალების მობილიზებას.

საბჭოთა მთავრობა ამით აცხადებს, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება იცნოს საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა და რომ მას სურს დანიშნოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ე. ბოგომოლოვი საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში“.

ამასთან ერთად დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმაც გააკეთეს განცხადება საფრანგეთის დროებითი მთავრობის ცნობის შესახებ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიურო.

ბელორუსიის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა ვალდებულებანი
ვადამდე დაამთავრონ პურის დამზადება. 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეგებით წითელი არმიის ფონდში შეიტანონ 3 მილიონი ფუთი პური

წითელი არმიის მიერ გერმანელთა უღლისაგან განთავისუფლებული ბელორუსი ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან წლისთავს.

მძვინვარე მტერი სამ წელიწადს აბუჩად იგდებდა და ბილწავდა ბელორუს ხალხს, სწვავდა და ანგრევდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს. ბელორუსიის საუკეთესო შვილთა სისხლით მორწყო მტერმა ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ ერასოდეს არ დაგვავიწყდება გერმანელთა მიერ შექმნილი სიკვდილის ბანაკი „ტროსტენეცი“, არ დაგვავიწყდება ცოცხლად დამწვარი, დახვრეტილი და შიმშილით ნაწამები ჩვენი ძმები და დები.

ჩვენმა მშობლიურმა წითელმა არმიამ დიდი სტალინის წინამძღოლობით სრულიად გათავისუფლა ბელორუსია ფაშისტ დამპყრობთაგან და წარმატებით მიერეკება მტერს მისი საკუთარი ბუნაგისაკენ.

ბელორუსი ხალხი ოკუპაციის წლებში მთელი ძალ-ღონით ეხმარებოდა წითელ არმიას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა, როცა თავისი განთავისუფლების სიხარულს განიცდის, მთელ ძალებს ანდომებს ფრონტისადმი დახმარებას და გერმანელი ვანდალების მიერ დანგრეული მშობლიური ბელორუსიის ქალაქებისა და სოფლების აღდგენას.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გომელის, მოგილიოვის, ვიტებსკის, მინსკის, ბობრუისკის, პოლოცკისა და პოლესიეს ოლქთა კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა და პინსკის ოლქის ერთპიროვნულმა მეურნეებმა 1944 წლის 15 ოქტომბერს დაამთავრეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულება.

ჩვენ მხურვალედ ვუქერთ მხარს უკრაინელ კოლმეურნეთა მოწოდებას პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესრულებისა და წითელი არმიის ფონდში პურის გეგმის გადამეტებით შეტანისათვის სოციალისტური შეჯიბრებას გაშლის შესახებ. უკრაინელთა მოწოდების პასუხად ვალდებულებას ვკისრულობთ:

1. 1 ნოემბრისათვის მთლიანად რესპუბლიკაში დავამთავროთ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულება, გავისტუმროთ სესხები და ნატურანაზღაურება მტს-ის მუშაობისათვის.

2. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის დღისათვის გეგმის გადამეტებით წითელი არმიის ფონდში შევიტანოთ 3 მილიონი ფუთი პური.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს შევხვდეთ ახალ-ახალი გამარჯვებით ფრონტზე და ზურგში.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ჩვენს მშობლიურ სტალინს!

(ვალდებულებანი მიღებულია ბელორუსიის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხთა კრებებზე).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

22 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

კარელიის ფრონტის ჯარები, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას პეტსამოს (პეჩენგის) რაიონიდან, მიადგნენ სსრ კავშირისა და ნორვეგიის სახელმწიფო საზღვარს ბარენცის ზღვის სანაპიროდან კუუტეს-იარვის ტბამდე მდებარე უბანზე და ამასთან დაიკავეს ნიკელის სამადნეები და დასახლებული პუნქტები ნიკელი, ვუოორემი, აფანასიევი, რო

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ერთი პირველთაგანი

თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკა ერთ-ერთი პირველთაგანია თბილისის იმ საწარმოებს შორის, რომლებიც წარმატებით ასრულებენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრ ვალდებულებებს. მოსკოვის ლენინის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივის მომართვის პასუხად მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა აკისრეს წლიური საწარმოო დავალება 13 ოქტომბრისათვის შეესრულებინათ.

ფაბრიკის კოლექტივმა ვადაზე ადრე გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება და საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო გეგმა, ნაცვლად 13 ოქტომბრისა, 10 ოქტომბერს 100,3 პროცენტით შეასრულა.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად გაჩაღებულია მუშაობა ფაბრიკის საამქროებს, აგრეგატებსა და მუშებს შორის. ოქტომბრის პირველ ნახევარში დაწინაურდა საამქრო, სადაც უფროსად არის ამხ. ა. ნაზარეტიანი. ამ საამქროს ოქტომბრის პირველი ნახევრის გეგმა 124,5 პროცენტით შესრულა. ოქტომბრის მეორე დეკადაში წინ მიდის პირველი აგრეგატი, რომელმაც ორი დეკადის გეგმა 15 ოქტომბრისათვის 116,9 პროცენტით შეასრულა.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში მკერავებს შორის პირველობას ინარჩუნებს ლ. კოკიაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 470-530 პროცენტით ასრულებს. წლიური დავალების შესრულებაში თავი გამოიჩინეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა— ნ. ესებუამ, კ. ტამოშნიკოვამ, შ. ავდალიანმა, ტ. ბუდნიკოვამ და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივი ახლა წარმატებით მუშაობს იმისათვის, რომ წლის ბოლომდე დედა-სამშობლოს და გმირ წითელ არმიის დაუმზადოს ახალი საწარმოო საჩუქარი — მრავალი ათასი კომპლექტი შეკერილი ტანსაცმელი.

მ. ვარდოსანიძე

ვადიდებთ ქვანახშირის ამოღებას

საოქტომბრო სოციალისტურმა შეჯიბრებამ სტალინის სახელობის შახტის პირველ უბანში ძლიერი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. მარტო ჩემმა ცვლამ აგვისტოში 346 ტონა ქვანახშირი ამოიღო გეგმის გადამეტებით. ახლა ჩვენთან ყველა მუშა 150-200 პროცენტით ასრულებს დავალებებს. ბევრი მათგანი სტახანოვური შრომის შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებს. ჩვენს ცვლაში მუშაობს მთელი ტრესტისათვის საამაყო ადამიანი, ლენინის ორდენოსანი სემიონოვსელი შალვა ფურცხვანძე. იგი 2-3 ნორმას იძლევა ყოველდღიურად, 22 ტონა ქვანახშირის ნაცვლად ცვლაში 60-70 ტონას აწვრევს. დიდი წარმატებით მუშაობენ მეზიგვები—ა. ობოლაძე და რ. ბოჭორიშვილი, მტვირთავები—ო. რობაქიძე, ვ. გაბადაძე და პ. ჭიჭინაძე. საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ისინი ორასოვნები გახდნენ. უკეთეს წარმატებებს მივაღწიეთ სექტემბერსა და ოქტომბერში. ყოველდღიურად 30-45 ტონა ქვანახშირს ვაძლევთ საშობლოს გეგმის გადამეტებით. ჩვენი წარმატებების საფუძველია შრომის დისციპლინის სიმტკიცე, ყველა მეშახტის სრული დატვირთვით მუშაობა და სამუშაო ადგილების კარგად მოწყობა.

მეშახტეები ერთსულოვნად იბრძვიან იმისათვის, რომ ქვანახშირის ამოღების კიდევ უფრო გადიდებით შეხვდნენ სახელოვან დღესასწაულს.

ე. ყანჩაველი

ტყიბულის მაღაროების სტალინის სახელობის შახტის პირველი უბნის ცვლის უფროსი

დანინაურდა ორჯონიკიძის სახელობის მაღარო

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან). ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევს. მაღარომ მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოქტომბრის ორი დეკადის გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით ორ დეკადაში გამოღებულია 1.300 ტონა მარგანეცი და 800 ტონა პეროქსიდი. მაღარომ შრომის ნაყოფიერება 110 პროცენტამდე გაზარდა.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი თავდადებულად იბრძვის წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ოქტომბერში მარგანეცის ამოღების საქმეში საგრძნობლად დაწინაურდა აგრეთვე კგანოვიჩის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც მარგანეცის ამოღების ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ერთსულოვანი მუშაობის შედეგი

ნავთლუღი საკვანძო სადგურია. ზამთრის სეზონისათვის სადგურის მთელი მეურნეობის, ყველა მისი რგოლის დროულად მომზადება ნავთლუღელ რკინიგზელთა საბრძოლო ამოცანა და საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მათი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

აქ უკვე შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: კეთილმოწყობილია სადგურის მთელი ტერიტორია, მას შემოვლებული აქვს ლამაზად გაფორმებული მოაჯირი, გაყვანილია ელექტროშუქი და განათებულია სადგურის მთელი საისრე მეურნეობა.

ზამთრის სეზონისათვის გათვალისწინებული ყველა სამუშაო შესრულებულია რკინიგზელთა ძალებით. რკინიგზელები დიდი ხალისით გამოდიოდნენ სამუშაოდ, ადგილობრივ პოულობდნენ საჭირო სამშენებლო მასალას და თვითონვე ასრულებდნენ სხვადასხვა სარემონტო სამუშაოებს.

ადგილობრივი კედლის გაზეთები „სტალინელი“ და „მუშის ხმა“ სისტემატურად აშუქებდნენ ზამთრის სეზონისათვის მზადების მიმდინარეობას.

ხ. ონანაშვილი

მეგი ზრუნვა ახალმოსული მუშებისადმი

ასანთის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. გ. მაიბერიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. თავაძე) გაუმჯობესა მუშაობა. სექტემბერში თვიური საწარმოო დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა და ამასთან გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. აგვისტოსთან შედარებით ასანთის გამოშვება სექტემბერში გაიზარდა 35,6 პროცენტით, ასანთის ხარისხი გაუმჯობესდა 9,8 პროცენტით, ხოლო ასანთის კოლოფის ხარისხი—7 პროცენტით.

ამ წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი საოქტომბრო შეჯიბრების ფართოდ გაშლამ. შეჯიბრებაში ჩაბმული სტახანოველები მეავტომატე ვ. სოლოდაშვილი, ასანთის კოლოფების დამამზადებელი ვ. როსტიაშვილი, ოსტატი ა. ლევჩენკო, ბრიგადირი გ. გიუნაშვილი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ისინი მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

მაგრამ ფაბრიკაში ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ახალმოსული მუშების შენარჩუნებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამიტომ არის, რომ წარმოების ყველა რგოლი წარმატებით ვერ მუშაობს.

ქართული ასანთი საუკეთესო ხარისხისა უნდა იყოს. საამისოდ ფაბრიკას ჰყავს კვალიფიციური კადრი, აქვს მაღალხარისხოვანი ნედლეული და შესანიშნავი ტექნიკური ბაზა.

ა. ქირია

ლაპარაკობენ მოწინავე მეჭარხლეები

ჩემი გამოცდილება

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოწვეულ თათბირთან დაკავშირებით ვიკისრე, რომ ურწყავ ნაკვეთზე ჰექტარზე მოვიყვანდი 500 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, მთლიანად რგოლში კი საშუალოდ ჰექტარზე—200 ცენტნერს.

რა მოვიყვანეთ ნამდვილად?

სტახანოვურ ნაკვეთზე მოსავლიანობა 700 ცენტნერს შეადგენს, ხოლო საშუალოდ ჰექტარზე რგოლში—300 ცენტნერამდე.

ამას მივაღწიეთ ენერგიული მუშაობით, აგროღონისძიებების მთლიანად გატარებით. ნიადაგში წყლის აორთქლება რომ შემცირებინა და მიწა არ გამაგრებულიყო, შარშან ოქტომბერში ჩავატარე აოშვა. აოშვით ხელი შევუწყე აგრეთვე სარეველა მცენარეთა თესლის ნაადრევად აღმოცენებას, რაც შემდეგში მოხვნით მოისპო.

ჩემი დაკვირვებით შაქრის ჭარხალი კარგად ვითარდება ღრმად მოხნულზე. წინაღამდეგ შემთხვევაში ძირები წვრილი, უსწორმასწორო და დატოტვილი გამოვა. ამიტომ საჭარხლე ნაკვეთი აოშვიდან 20 დღეში (ნოემბერში) მოვხნიდი 25-27 სანტიმეტრის სიღრმეზე. ნიადაგზე წინასწარ თანაბრად მოვაბნიე 60 ურემი გადამწვარი ნაკელი.

გაზაფხულზე მიწის შეშრობისთანავე ნაკვეთი ავვოშეთ. თესვამდე ჩავატარეთ კულტივაცია ხნულის გარიგგარდმო 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე და მაშინვე დავფარცხეთ. თესვის წინა დამუშავება ისე ჩავატარეთ, რომ საკვებით მოისპო ბალახ-ბულახი, ნიადაგი წვრილმარცვლოვანი, ფხვიერი და სწორი გახდა. მაშინ დავიწყეთ თესვა. დავთესეთ ხელით, მწკრივი მწკრივთან 35 სანტიმეტრის დაშორებით, ნაცვლად კულტივაციისათვის გათვალისწინებული 44,5 სანტიმეტრისა. თესვისას მარკერით გავაკეთეთ მწკრივები და წინასწარ თესლთან ერთად ნიადაგში ჰექტარზე შევიტანეთ 2 ცენტნერი ნაცარი და 1 ცენტნერი მინერალური სასუქი. მცენარის აღმოცენებისთანავე 2-3 დღეში ჩავატარეთ რიგთა შორის მსუბუქი გაფხვიერება და მომცდარი ადგილები გამოვთესეთ.

გამოხშირვისას პირველად მცენარეები მწკრივში დავტოვეთ ერთმანეთისაგან 9 სანტიმეტრზე, შემდეგ კი—18 სანტიმეტრზე.

პლანტაციას ხშირად, თვეში ორ-სამჯერ მაინც, ვთოხნიდით, ვაფხვიერებდით. ორჯერ მივეცით მინერალური სასუქი, ვამორვებდით მავნებლებს. ამ ღონისძიებით ჰექტარზე შევნარჩუნეთ 115 ათას ძირზე მეტი ჭარხალი. ზოგიერთი ძირი 3 კილოგრამზე მეტს იწონის. წელს კოლმეურნეობაში გამომუშავებული მაქვს 200-ზე მეტი შრომადღე. ჭარხლის მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ ავიღეთ.

მომავალში უხვი მოსავლის მისაღებად ვგეგმავთ ნაკარს, საქონლის და ქათმის ნაკელს, შევიძენთ მინერალურ სასუქსაც.

ელენე აბაშიშვილი

ქარელის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის მერგოლური.

გავაუმჯობესეთ სათესი და კულტივაციორი

შაქრის ჭარხალი დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას. თუ ჭარხალს კარგად მოუვლი და უხვ მოსავალს მიიღებ, ამით ფრონტსაც დაეხმარები და კოლმეურნეებიც მეტ ფულსა და შაქარს მიიღებენ.

ამიტომ ჭარხალს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ადრეწესების დაცვით ჩავატარეთ შარშან მზრალად ხვნა, გადახვნა, აოშვა, შევიტანეთ სასუქი. როცა ჭარხალმა წყვილი ფოთოლი ამოიყარა, ჩავატარეთ გამოხშირვა. შემდეგ ოთხჯერ გავთოხნეთ. წინათ კულტივაცია ხდებოდა რთული მანქანით, რომელსაც დიდი დრო და შრომა სჭირდებოდა, ხოლო ხელით სამუშაოს სჭირდებოდა ჰექტარზე 20 კაცი. საქმე რომ გამეადვილებინა გავაკეთე მარტივი კულტივატორი, რომელსაც ერთი ფრთა აქვს. იგი მსუბუქია და ემსახურება მხოლოდ 4 კაცი. თესვაც ჩემ მიერ გაკეთებული მანქანით ჩავატარეთ.

წელს საუკეთესო შაქრის ჭარხალი გვაქვს. საშუალოდ ჰექტარზე შენარჩუნებულია 90-დან 100 ათასამდე ძირი. მოსავლის აღება დავიწყეთ. პირველი მონაცემით დავრწმუნდით, რომ საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ სულ მცირე 300 ცენტნერ შაქრის ჭარხალს. სახელმწიფოს მივცემთ 3.600 ცენტნერ ჭარხალს. ჭარხლის ამოღებაზე და გაწმენდაზე შერჩეული კოლმეურნეები მუშაობენ რგოლების მიხედვით. მოსავლს უდანაკარგოდ ვიღებთ.

1945 წლისათვის უკვე შევარჩიეთ კარგი ნაკვეთები, რომლებშიც ხვნა დაიწყო. ნიადაგი იხვნება 25-27 სანტიმეტრი სიღრმით. შეგვაქვს სასუქი. გადაწყვეტილი გვაქვს მომავალ წელს ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა ავიყვანოთ 400 ცენტნერამდე.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს: პირველი ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელმა ს. ლაშქარაშვილმა, მეორე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელმა ს. ჯიმშელაშვილმა, მეორე რგოლის ხელმძღვანელმა ო. ლაშქარაშვილმა, თავდადებით შრომობენ მეორე რგოლის წევრები: ო. ქათამაშვილი, ე. ირემაშვილი და სხვ.

მომავალში ჩვენ კიდევ მეტი ენერგიით ვიმუშავებთ, რომ ფრონტსა და ქვეყანას მივცეთ მეტი შაქრის ჭარხალი.

მ. ადამაშვილი

კასპის რაიონის სოფელ ხანდაკის კოლმეურნეობა „სტალინის გზით“-ის თავმჯდომარე.

გორის რაიონის სოფელ პატარა ხურვალეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლური ნ. ქოჩრდელი. ფოტო რ. აკოფოვისა.

კომკავშირულ თემაზე

ერთი ქარხნის კომკავშირელები

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

როცა ფეროშენადნობთა ქარხანაში წარჩინებულ ადამიანებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, კომკავშირელებს აუცილებლად მოიხსენიებენ. იტყვიან, რომ ისინი მეტი ლეგონისათვის ბრძოლის სანამუშო მაგალითებს იძლევიან, რომ ქარხნის ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან წარმოების ტექნიკას, რომ ბევრი მათგანი რაციონალიზატორია და მომკირკეტბისათვის ბრძოლის თაოსანი.

ვინ არიან ეს კომკავშირელები? მათი სია მეტად გრძელია, მაგრამ ჩვენ რამდენიმეს დავასახელებთ.

სადნობი საამქროს პირველი ღუმელი კომკავშირულია. ამ ღუმელით იწყება საამქროს ისტორია, მთელი ქარხნის ისტორია. 29 ოქტომბერს, თერთმეტი წელი სრულდება, რაც ამ ღუმელიდან პირველი შენადნობი მიიღეს. საგულისხმოა, რომ კომკავშირელები იყვნენ მისი მშენებლები და მაშინაც იგი კომკავშირულად იწოდებოდა.

ახლა ამ ღუმელზე კომკავშირულ-ფრონტული ბრიგადა მუშაობს. ბრიგადირია დავით ქარქაშაძე — ქარხანაში სახელმოხვეჭილი მდნობელი, წარმოსადეგი ახალგაზრდა, გამრჯე და შრომისმოყვარე.

ამხ. ქარქაშაძის ბრიგადა ამხ. ს. კიკნაძის კომკავშირულ ბრიგადას ეჯიბრება. ძნელია კაცმა სთქვას, თუ რომელი სჯობნის. შესაძლოა სულ მცირე განსხვავება იპოვოთ. მაგრამ ერთი ცხადია: ორივე ბრიგადა გეგმის გადამეტებით იძლევა მაღალხარისხოვან ლითონს, ზოგავს ელექტროენერგიას. ამ ბრიგადების ანგარიშზე გეგმის გადამეტებით გამოდნობილი ასობით ტონა ლითონი და ათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია ირიცხება.

ქარხანა აგრეთვე ამაყობს კომკავშირული ბრიგადით, რომელსაც ამხ. შოთა გუნცაძე ხელმძღვანელობს. დისციპლინა, უშრეტი ენერგია, საქმისადმი სიყვარული — აი ბრიგადის დამახასიათებელი თვისებები. იგი თვიდან თვემდე ადიდებს მეტალური მარგანეცის გამოშვებას, რაც ესოდენ ძვირფასია ჩვენი თავდაცვითი მრეწველობისათვის. სექტემბერში შ. გუნცაძის ბრიგადამ ლითონის გამოშვების გეგმა 157 პროცენტით შეასრულა, ელექტროენერგია და მასალები 25 პროცენტით დაზოგა, სამშობლოს ათი ათას მანეთობით ეკონომია მისცა. ბრიგადა ოქტომბერში კიდევ უკეთესად მუშაობს.

16 კომკავშირულ-ფრონტული ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს, ათასამდე ახალგაზრდა იბრძვის, მეტი ლითონისათვის, 360 კომკავშირელი იცავს ქარხნის ღირსებას. ქარხანაში ყველას სმენია კომკავშირელების პაველ სარალიძის, ლევან ბეგიაძის, ალეკო ქალაბაძის, ანდრო მაღრაძის, [illegible] ფხაკაძის, ბეჟან ნეიერიძის, შოთა ყიფიანის, ვიტი გველესიანის, ჭიჭიკო ტოგონიძის, ნოდარ ჩაფიძისა და ვაჟა მიქაბერიძის წარმატებანი.

აქ კომკავშირელი რაციონალიზატორებიც არიან. დ. ჩიკაშუას, ა. ჩიკვაიძის, კ. დათიაშვილის, დ. ჩიკაშუას, ა. ჩიკვაიძის, კ. დათიაშვილის და ნ. მაღლაკელიძის წინადადებანი 120 ათასი მანეთის დანაზოგს იძლევიან ყოველწლიურად. სადნობი საამქროს ელექტროკოსი ნ. მაღლაკელიძე ორი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

როგორ დგას ახალგაზრდობის აღზრდის საქმე ქარხანაში?

კომკავშირელები დ. კუბიანიძე და კ. ცქიფურიშვილი სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, კითხულობენ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას, აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკაც. მაგრამ ქარხნის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ნაკლებად სწავლობს, იშვიათად კითხულობს; კომკავშირის ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები ჯერ კიდევ არ იცნობენ კარგად ქარხნის ახალგაზრდობას. ისინი არ გამოდიან ქარხანაში პოლიტიკური მოხსენებებით, არ სწავლობენ რა აინტერესებთ ახალგაზრდებს, რას კითხულობენ ისინი, სად ატარებენ თავისუფალ დროს.

მართალია ქარხანაში ბევრი კარგი ფიზკულტურელი, მომღერალი და მოცეკვავე ჰყავთ. მოჭიდავე კომკავშირელები ვ. ფხაკაძე და გ. კობახიძე განთქმული არიან. კარაკად აბეედრებენ სამხრნოს ბ. ნებიერიძე და ვ. ჩაფიძე. სოუცხოო მძლეოსნები არიან ნ. მაღლაკელიძე და გ. კვინიხიძე. ფრენბურთში გამოირჩევიან თინა კვიტაშვილი და ლუბა ვეფხვაძე. ყუმბარტყორცნასა და რბენაში თავი ისახელა მართა პეტლიაკმა. მაგრამ ყველაფერი რიგზე არც ამ დარგშია. ფიზკულტურული საზოგადოება „მეტალურგი“ აქ დაიშალა და მხოლოდ ახლახან, მოსკოვიდან დებატლების მიღების შემდეგ, განაახლა მუშაობა.

კომკავშირელები მომღერალთა და მოცეკვავეთა წრეებში არიან გაერთიანებული. სხვა წრეები კლუბთან არ არსებობს და სად გაერთიანდეთო,—გვითხრა ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ახრახაძემ. მაგრამ თუ კლუბთან წრეები არ არსებობენ, ან ისინი ცუდად მუშაობენ, ამაში ხომ ბრალი თვით კომკავშირის კომიტეტსაც მიუძღვის?

ეჭვი არ არის, ფეროშენადნობთა ქარხნის კომკავშირელები, გამოსაწორებენ ამ ნაკლოვანებებს და წარმატებით იბრძოლებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა ნამდვილად განხორციელებისათვის.

ჯ. ჭიოკაძე

მზრალად ხვნა და საშემოდგომო თესვა კოლმეურნეობებში

(საქმიწსახკომის 20 ოქტომბრის ცნობებით)

რაიონები	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თავთავიანი მარცვლეული კულტურების გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	მზრალად ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თავთავიანი მარცვლეული კულტურების გეგმის შესრულება პროცენტობით
ქუთაისი		8,3	კასპი	26,8	59,9
მაიაკოვსკი		16,7	ბორჯომი	39,5	12,3
ჭიათურა		25,4	წალკა	40,3	
საჩხერე		64,2	დუშეთი	15,7	79,5
ორჯონიკიძე		101,0	თეთრიწყარო	42,4	60,5
ონი		60,5	თიანეთი	5,0	79,2
ამბროლაური		49,0	გურჯაანი	9,2	41,4
ცაგერი		66,4	სიღნაღი	10,8	34,3
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	79,0	22,2	წითელწყარო	23,5	40,3
ახალქალაქი	63,0	105,0	თელავი	7,2	50,1
ბოგდანოვკა	56,1		ყვარელი	20,4	44,1
ახალციხე	62,2	45,3	ლაგოდეხი	27,2	45,4
ადიგენი	78,8	46,4	თბილისი	30,8	100,6
ასპინძა	112,0	60,6	მცხეთა	21,7	72,4
ხაშური	89,9	36,0	ყარაია	18,7	49,0
ქარელი	72,1	44,4	ბორჩალო	49,3	38,8
გორი	54,3	92,3	ბოლნისი	11,2	13,9
			საგარეჯო	0,8	60,8
			ბაშკიჩეთი	15,8	57,6

ალაზნის პირას

შიდა კახეთის ყოველი სოფელი ალაზნის ველს შეჰყურებს. ეს ველი დოვლათისა და ბარაქის გულგაშლილი წიაღია. მართლაც ალაზნის ველს ათასი მისასვლელი აქვს. ყველა სოფლის გზა მისკენ მიემართება. დაჭრილან ავტომობილები სოფლის კიდობნებსა და ამ უზარმაზარ კიდობანს შორის. ბარაქა არ ილევა ალაზნის ნოყიერ მიწაში და კოლმეურნეთა ოჯახებს დოვლათით ავსებს.

მოჭრილებს პურის ძნით დატვირთული ურემი. სამოცდაათი წლის მეურმე ზის ზედ — მიხა ქიზიყელაძეილი. მოდის და მოღიღინებს. ნახევარი საუკუნეა მრავალ ათას გლეხთან ერთად ალაზნის ველიდან ეზიდება იგი ჭირნახულს. საუკუნეთა განმავლობაში ასევე ეზიდებოდნენ მისი მამა-პაპანიც, მაგრამ რა გამოლევს ამ მიწის სიმდიდრეს, რა დააშრობს ბარაქით სავსე ალაზნის ველს?!

მოღიღინებს მიხა. თვალწინ უდგას სამი ვაჟი—ლადო, შაქრო, კოლა. სამივე საქორწილო. ამ ტკბილ ღიღინში მას მოესმის სროლის ხმა. თვალწინ წარმოუდგება ბრძოლის ქარცეცხლი. უნებლიეთ სწყვეტს ღიღინს. ხარებს მეუტევს და ფიქრით თავს ევლება სამამულო ომში მებრძოლ ვაჟებს. ისინი არასოდეს არ დაეცემიან, როგორც არ დაეცემა კავკასიონი, რომლის კალთებზეც ჯერ კიდევ შარშანწინ იბრძოდნენ. ისევ ღიღინი დაიწყო მიხამ. ფიქრი შეეცვალა... როდისაც ვაჟები ჩამოუვა, სამივეს ქორწილს ერთ დღეს გადაიხდის. ღვინო არ ეკნება თუ? იხედება მარცხნივ — მის თვალს ახარებს გიშრის მარცვლებით ასხმული საფერავის მტევნები. მარჯვნივ ქარვისფერი რქაწითელია. დაილოცოს ალაზნის ველი, კარგი ვენახი იცის, ტკბილი ყურძენი, მადლიანი ღვინო!

აგერ ლეკის მთა, საყორნე, ზუფრა. თეთრი მსუბუქი ნისლი ჩაწოლილა შიგ. დილაა და მზე. ღვინობისთვეა. მზე ამთავრებს თავის საქმეს. საბოლოოდ ავსებს ნაყოფს მასაზრდოებელი წვენით.

* * *

კოლმეურნეები რთველისათვის ემზადებიან. მოსავლის აღების დროს პურითა და სიმინდით დატვირთულ ურმებს მეტი ჯაფისაგან თვლები ჩაუტყდა, ხელნა მოსძვრა, ჭალები შემოემტვრა. აკეთებენ. ფართოდ გადაშლილ ეზოში თეთრხილაბანდიანი ქალები მწვანეზე ჩამომსხდარან და შინდის წნელის გოდრებსა სწნავენ. ასამდე გოდორი უკვე გვერდზე ჩამოუწალაგებიათ, ერთი ამდენიც დასჭირდებათ. შარშანდელი დამტვრა, ახლით უნდა შეავსონ.

მოისმის სიმღერის გუგუნი. მაღალი, ბოხი, თითქოს ასი კაცი ბანს აძლევსო. მომღერალი კი არავინ სჩანს. მივყვები ხმას. მარანთან აღმოვჩნდი. ათამდე ქვევრია მიწაში ჩაფლული. პირღია ქვევრში მრეცხავი ჩამდგარა. ის რეცხავს ქვევრს და ჩვეულებისამებრ მღერის, შრომას იმსუბუქებს.

— ამოდი, ლევან! — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნაპირელმა ჩასძახა ქვევრში მყოფს.

თეთრმა წვერულვაშმა ამოჰნათა ქვევიდან. ორი ძარღვიანი ხელი ჩაეჭიდა ქვევრის პირს და ნელნელა ამოიმართა სამოცდაათი წლის მოხუცი კოლმეურნე. სახეზე მაჯები გადისვა, ოფლი შეიწმინდა, მოგვესალმა.

— მოჰყევი ამ ქვევრის ამბავს! — ეუბნება ნაპირელი.

ლევანი იღიმება. ულვაშებზე ხელს ისვამს, თითქოს ზედ დაგორებული ღვინის წვეთები შეიწმინდაო.

— ბევრი ხალხი დაუტკბია ამ ქვევრს. წლითიწლობით სავსეა ხოლმე. სამასი წლისაა. ეს მე პაპაჩემისგან გამიგონია. სამასი ჩაფი ჩადის შიგ. კარგი გარეცხვა უნდა. ხუთპირად. ახლადგამომწვარი თიხის სუნი უნდა ასდიოდეს ისევ. აი, მაშინ კარგად ინახავს ღვინოს. დილის ნამივით წმინდად. გაჩუმდა ლევანი. თითქოს სათქმელი აღარაფერი ჰქონდაო. ნაპირელი შეეშველა.

— რამდენი ხანია, რაც ამ ქვევრს რეცხავ?

— სამოცი წელიწადია. ათი წლის ვიყავი პირველად რომ ჩამიყვანა მამამ. მასწავლიდა რეცხვას. მას შემდეგ ყოველწლიურად ჩავდივარ შიგ.

კმაყოფილებით შესცქერის ნაპირელი მოხუც გამრჯე კოლმეურნეს. ის ვენახის მოვლაშიც საქმეა, თესვაშიც, მკაშიც. სწორედ ასეთმა გამრჯე კოლმეურნეებმა ფეხზე დააყენეს და გააძლიერეს ვანთის კოლმეურნეობა „ჩვენი იმედი“. მათ ქვეყნისთვისაც სარგებლობა მოაქვთ და თავიანთ ოჯახსაც დოვლათით ავსებენ. პური, ხორცი, ყველი, მატყლი ჩაბარეს სახელმწიფოს. ექვსი ათასი კილოგრამი ყურძენი უნდა ჩააბარონ, დანარჩენი კი ამ ქვევრებში ტკბილ ნაკადულად ჩაიღვრება.

* * *

ხუთას ორმოცდაათი კომლია აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში“. მისი გზებიც ალაზნის ველისკენ მიდის. ამ ველიდან უკვე გამოზიდეს პური. არც ერთი მარცვალი არ დაუკარგავთ. ორმოცდაათი ტონა ჩააბარეს სახელმწიფოს. ახლა რთველი აქვთ. შორიდანვე მოჩანს სმენაზე დამდგარ წელში გამართულ მებრძოლებივით ჩამწკრივებული ვაზები. ჩავუარეთ პირველ ნაკვეთს. ყოველ ვაზს თითო-ოროლა მტევანი ასხია მხოლოდ.

— რა მოხდა, წელს მამულმა არ გაიხარა?!—გაკვირვებით ვეკითხები.

— ესენი ჩვენი მოზარდები არიან, პატარა ბავშვები, — ღიმილით ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო როსტომოვი. — ახლად დარგული ვაზია. ჯერ ვერ მოისხამს. როგორც ბავშვებს, ისე ვუვლით, ვზრუნავთ, გაიზრდებიან და გაგვახარებენ...

თვალს იტაცებს სასახელოდ მოვლილი ვაზი. ჭიგოების მაგიერ მავთულზეა აკრული. ვენახში გულმოდგინედ დაბარულ მიწაზე არც ერთი ძირი ბალახი არ არის.

ქალთა ბრიგადები მიჰყვებიან მწკრივებს. გოდრები ივსება ყურძნით. ოსტატურად ჭკრეფენ მტევნებს, აკიდოებს, ჩხებს. მაგრამ ეს ქალები მარტო რთველში კი არ არიან მარჯვენი. ისინი ყველა სამუშაოზე პირნათლად მუშაობენ. აგერ მარო ბერიაშვილი. ახალგაზრდა დედაა. ორი შვილი ჰყავს. მისი ქმარი ფრონტზეა. კოლმეურნეობაში ქმრის მაგიერობას ეწევა. ყანაში პურის მკის დროს ნამგალი ეპირა ხელში. თოხნის დროს თოხი. კალოზეც მუშაობდა. ვენახსაც სხლავდა.

გოგონები გამოსულან ყურძნის საკრეფად. მათ სწორედ ისეთივე შავი თვალები აქვთ, როგორც საფერავის მარცვლებია, დიდრონი, გამხარებელი. მილიონი თვალით იცქირება ასსამოცდაათ ჰექტარზე გაშენებული ვაზი — რქაწითელი, საფერავი და მეტადრე საქართველოს მწვანე — ეს ნუგბარი ღვინის მშობელი დედა. ურმები კი ეზიდებიან სავსე გოდრებს, მარტო სახელმწიფოს ასათი ტონა ყურძენი უნდა ჩააბარონ, დანარჩენს კოლმეურნეთა მარანი ელის.

ვენახის ბოლოს სახნავი მიწებია. ტრაქტორების გუგუნი მოისმის. თადარიგიანი თავმჯდომარე ყველა უბანზე ასწრებს მუშაობას. გაჩაღებული რთველის დროს საშემოდგომო თესვისათვის ემზადება. ხვნა დაიწყეს. ოთხასზე მეტი ჰექტარი უნდა დაიხნას და დაითესოს.

* * *

კურდღელაურის საკოლმეურნეო ეზოში სიმინდის ტაროების ქარვისფერი ზღვა დამდგარა. ყველა საწყობი სავსეა. ჭირნახულისთვის ადგილი არა აქვთ.

მიშა გიორგანაშვილი, ორდენოსანი თავმჯდომარე, ხვეწნით რომ ვერაფერს გახდა, ძალით მოჰყავს კოლმეურნენი და ავალდებულებს წაიღონ, რაც წინასწარ ერგებათ.

არა გვცალიაო, ამბობენ კოლმეურნენი.

— ყველაფერი უნდა მოასწროო. მოყვანაც და დაბინავებაც, — ეუბნება ირონიით თავმჯდომარე. სასწორთან თვითონვე დგას, უანგარიშებს და ხელს აწერინებს. ბიჭი ხარ და ხუ წაიღებ.

ეს მხოლოდ ავანსია და თითო ოჯახს ტონაზე ნაკლები მაინც არ შეხვედრია, ზოგს ორი ტონა ხვდება, ზოგს მეტიც.

— კარგა დახვავებულა! რამ მოგაწევინათ ამდენი სიმინდი!

გიორგანაშვილმა თავისი დიდრონი ციფერი თვალები ჩვენს წინ ხელის გულივით გადაშლილ ალაზნის ველს მიანათა.

— მაგას ვინაცვალე, თუ იმუშავებ, რას არ მოგცემს, აგავსებს და აგაშენებს!

ახალგაზრდაა გიორგანაშვილი, მაგრამ ისე ზრუნავს კოლმეურნეებზე და მთელ კოლმეურნეობაზე, თითქოს მრავალშვილიანი მამა იყოსო. არაფერი არც ავიწყდება და არც გამორჩება. იმ დღეს ვენახში შენიშნა, ერთი ძირი მოზარდი ვაზი გამხმარიყო. სწუხდა და ჯავრობდა. ბრიგადირს არიგებდა: როგორც შენ შვილებს, ისე უნდა მოუარო, ყველა ვაზი ცალცალკე უნდა გასინჯო, რომელს რა სტკივა, ის უნდა უწამლოო. სწორედ დაუღალავი ზრუნვაა მიზეზი, რომ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა ოთხი წლის განმავლობაში სულ მოწინავეა.

წითელარ

ბელორუსიის მე-2 ფრონტი. ბატარიამ, რომელშიც შედის სერჟანტ შალვა კილაძის ქვემეხი, ამას წინათ მტრის ტანკების კონტრიერიშის მოგერიების დროს დაზიანა 8 „ვეფხვი“ და 1 „ფერდინანდი“. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შალვა კილაძის ქვემეხის გუნდმა. სერჟანტი კილაძე ომამდე ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (წყალტუბოს რაიონი) წევრი იყო.

ფოტო მ. მარკოვისა

•საბჭოთა კავშირში

კრილოვის ახალი კრებული

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა გამზადა და დასაბეჭდად გადასცა ი. ა. კრილოვისადმი მიძღვნილი მასალების კრებული.

კრებულში შევიდა კრიტიკული სტატიები დიდი რუსი იგავთმწერლის შემოქმედების, მისი დრამატურგიისა და სხვა ლიტერატურულ ნაშრომთა შესახებ. ცალკეული სტატიები მიეძღვნა ანტიკური იგავ-არაკისა და ლაფონტენის გავლენას კრილოვის შემოქმედებაზე. (საკდესი).

აღდგენილია საკონსერვო მრეწველობის 21 ქარხანა

სწრაფი ტემპებით სწარმოებს საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა აღდგენა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში. საექსპლოატაციოდ გადაცემულია და ახალი მოსავლის ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებას შეუდგა 21 საწარმო.

პამდინარე სეზონში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნებმა მრავალი ახალი სახის პროდუქციის წარმოება აითვისეს. (საკდესი).

მოსკოვიდან რიგაში გაიგზავნა პირველი ფოსტა

მოსკოვიდან რიგას გაფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც პირველი საფოსტო კორესპონდენცია წაიღო. აქამდე მოსკოვის ფოსტამტმა მოაწყო ავიაფოსტის რეგულარული მიწოდება ბალტიისპირეთის ყველა განთავისუფლებულ ქალაქში. ყოველი 2-3 დღის შემდეგ თვითმფრინავებს მიაქვთ ასობით წერილები ლატვიასა, ლიტვასა და ესტონეთში. (საკდესი).

მოსკოვის ეკრანებზე უჩვენებენ ახალ ამერიკულ ფილმს „სიმღერა რუსეთზე“

19 ოქტომბერს მოსკოვის კინოთეატრების ეკრანებზე დაიწყო დემონსტრირება ახალი ამერიკული მხატვრული ფილმისა „სიმღერა რუსეთზე“. კინოსურათი ასახავს ღრმა სიმპატიის გრძნობას, რომლითაც ამერიკელი ხალხი გამსჭვალულია საბჭოთა კავშირისადმი.

სურათის გმირი-სახელგანთქმული ამერიკელი დირიჟორი მერედიტი საგასტროლოდ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი თავის თანამემამულეებს უამბობს, თუ რა ბედნიერად ცხოვრობდა საბჭოთა ხალხი, ვიდრე მას ვერაგულად დაეხმიდა თავს ჰიტლერული გერმანია, და რა მამაცურად იბრძვის იგი დღეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ახალ ამერიკულ ფილმს მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ. (საკდესი).

პირველად შესრულდა ს. პროკოფიევის ოპერა „ომი და მშვიდობა“

სერგეი პროკოფიევმა დასწერა ახალი ოპერა ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ომისა და მშვიდობის“ მიხედვით. 16 ოქტომბერს მოსკოვის მსახიობის სახლში სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოთა ოპერის ანსამბლმა პირველად შეასრულა კომპოზიტორის ახალი ნაწარმოები.

დიდი რუსი მწერლის პატრიოტული ნაწარმოები საბჭოთა ადამიანებისათვის განსაკუთრებით მახლობელი და ძვირფასია ახლა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში. ს. პროკოფიევმა თავის ნაწარმოებში აიღო დიდი პატრიოტული თემა, რომელიც ჩვენი დროის გმირულ ამბებს ეხმაურება.

ს. პროკოფიევის ახალი ოპერის საკონცერტო შესრულება დიდი წარმატებით ჩატარდა. (საკდესი).

„დიდი დონბასი“

განახლდა „დიდი დონბასის“ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოები. მიზანი ამ სამუშაოებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე იყო დაწყებული, დონეცის აუზის ნახშირიანობის გავრცელების საზღვრის შესწავლაა. აზოვ-შავი ზღვის გეოლოგიურმა სამმართველომ მოაწყო დონბასის კომპლექსური ექსპედიცია, რომელიც დონის, სალის და მანიჩის ველებზე სწავლობს დონბასის აღმოსავლეთ გაგრძელების გეოლოგიურ აგებულობას, აზუსტებს ნახშირიანი ფენების გავრცელების საზღვარს. (საკდესი).

ამუშავებულია ასანთის კომბინატ „ვეზუვის“ პირველი რიგი

გომელში დამთავრებულია ფირფიცარ-ასანთის კომბინატ „ვეზუვის“ პირველი რიგის აღდგენა. კომბინატმა პირველი პროდუქცია გამოუშვა. ერთ ცვლაში იგი 150 ათას კოლოფ ასანთს გამოუშვებს. უახლოეს დროში წარმოების საწარმოო სიმძლავრე გაორკეცდება.

სწარმოებს ბელორუსიის ასანთის სხვა ფაბრიკების აღდგენა. (საკდესი).

დეპეშები

ინგლისისა და ამერიკის პრესის გამოხმაურება ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეზე მოსკოვში ჩერჩილისა და იდენის ყოფნის შესახებ

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი“ მოწინავე სტატიაში კომენტარს უკეთებს ოფიციალურ კომუნიკეს ჩერჩილისა და იდენის მოსკოვში ყოფნის შესახებ და სწერს: „ეს კომუნიკე ბუნებრივად და აუცილებლობის გამო ზოგადი გამოთქმებით არის შედგენილი. მაგრამ საკითხები, რომლებსაც იგი ეხება, თავისი ხასიათით სავსებით ადასტურებენ მომხდარ შეხვედრათა დროულობას და მათს უაღრესად დიდ მნიშვნელობას მოკავშირეთა პოლიტიკის შემდგომი კონსოლიდაციისათვის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში. ათი დღის აქტიურ მოლაპარაკებაში, რასაც მოკავშირეთა სახელმწიფო მოღვაწეები ეწეოდნენ, მათ უეჭველად რეკორდს გადაუჭარბეს გაწეული მუშაობის წარმატებისა და ღირებულების მხრივ“.

„მოლაპარაკებაში,—განაგრძობს გაზეთი,—სრულად იყო წარმოდგენილი სამიკე წამყვანი სახელმწიფო, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დასავლეთში წარმოებულ ომში. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში ყოველმხრივ განხილულ იქნა სამხედრო გეგმები, რომლებიც კვებეკსა და თეირანში დასახული გეგმების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენენ.

...მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა ორი საკითხი „მრავალი პოლიტიკური საკითხიდან, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ“, და ეს საკითხები ცალკეა ნახსენები კომუნიკეში. ეს არის საკითხი პოლონეთის მომავლის შესახებ და საკითხი იმის შესახებ, თუ რა შედეგი ექნება ბალკანეთის მდგომარეობისათვის მოკავშირეთა ძლევამოსილ კამპანიას“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ განხილულ იქნა პრობლემათა ვრცელი რიგი, და რამდენადაც მათს განხილვას დაეთმო ათი დღე, ამან სრული საშუალება მისცა ინგლისელ და რუსელიდერებს ღრმად გაეგოთ თვითეულის განწყობილება და თვალსაზრისი“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ ეხება პოლონეთის პრობლემას და სწერს: „ჩვენ კმაყოფილებით შევიტყეთ პროგრესის მიღწევა ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი, შესაძლოა, ძირითადი საკითხები წინანდებურად გადაუწყვეტელი დარჩნენ. ის გარემოება, რომ აზრთა სხვადასხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა არა მარტო ინგლისელებისა და რუსების მოლაპარაკების შედეგად, არამედ აგრეთვე ლონდონში მყოფ პოლონეთის მთავრობისა და ლიუბლინის კომიტეტის ხელმძღვანელებთან ინგლისელებისა და რუსების მოლაპარაკების შედეგად, იმედის მომცემ ნიშანს წარმოადგენს“.

„ინგლისელებმა და რუსებმა მიაღწიეს შეთანხმებას იუგოსლავიის შესახებ“ გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აქვეყნებს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოსკოვი კორესპონდენტის ცნობას და ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს ტექსტს.

„ინგლისელებმა და რუსებმა ბალკანეთის საკითხებზე ერთიანობა, როგორც სჩანს, არასოდეს არ ყოფილა უფრო მტკიცე და უფრო სრული. გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს სრულ ტექსტს.

სათაურით „ინგლისელებმა და რუსებმა მიაღწიეს შეთანხმებას იუგოსლავიის შესახებ“ გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აქვეყნებს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოსკოვი კორესპონდენტის ცნობას და ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს ტექსტს.

„დეილი ჰერალდის“ უცხოეთის განყოფილების რედაქტორი სთვლის, რომ პოლონეთის საკითხში მოლაპარაკება მხოლოდ ნაწილობრივი წარმატებით დაგვირგვინდა.

„დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ მიღწეულია დიდმნიშვნელოვანი პროგრესი პოლონეთის პრობლემის გადაწყვეტის გზაზე, პრობლემისა, რომელიც დაწვრილებით იქნა განხილული საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მთავრობებს შორის მომხდარ მოლაპარაკებაში. ამ მოლაპარაკებამ მნიშვნელოვნად შეამცირა აზრთა სხვადასხვაობა და გაპფანტა გაუგებრობანი.

გაზეთი „სანდი ექსპრესი“ სარედაქციო სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „აარგად შესრულებული ამოცანა“, სწერს: „არაფერს იმაზე უკეთ არ შეუწყვია ხელი მოკავშირეთა საქმის წარმატებისა და ცივილიზაციის მომავლისათვის, ვიდრე მოსკოვის მოლაპარაკებას. ბრიტანეთის იმპერიამ და რუსეთმა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ გამარჯვების დაგეგმვასა და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მოწყობაში“. გაზეთი აღნიშნავს, რომ სრულიად ბუნებრივია ინგლისსა და სსრ კავშირს შორის აზრთა ასეთი თუ ისეთი სხვადასხვაობის წარმოშობა, და სწერს: „მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ერთიანობას არსებითად. ამ ერთიანობას მიაღწია ორმა ადამიანმა — ჩერჩილმა და სტალინმა — და არავითარი ქება მეტისმეტად დიდი არ იქნება მათთვის“.

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთებმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ პირველ გვერდებზე გამოაქვეყნეს ცნობა მოსკოვში ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ შემდეგი სათაურით: „მოსკოვის მოლაპარაკება ოპტიმიზმის ვითარებაში დამთავრდა. ჩერჩილი და ამერიკის ელჩი სამშობლოში გაფრინდნენ“. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაბეჭდა ცნობა თავისი მოსკოველი კორესპონდენტისა, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს მოლაპარაკების წარმატებას, რაც მიღწეულია პოლონეთის საკითხის გადაწყვეტაში, სამხედრო გეგმების გაშლაში და სხვ. კორესპონდენტი აცხადებს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ერთიანობა, როგორც სჩანს, არასოდეს არ ყოფილა უფრო მტკიცე და უფრო სრული. გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე ინგლის-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს სრულ ტექსტს.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ბრესკენსის რაიონში მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს ეწევიან ნავსადგურის მისადგომებზე.

მოპოვებულია ახალი წარმატება ანტვერპენის ჩრდილოეთით წარმოებულ ბრძოლებში. მოკავშირეებმა წინ წაიწიეს ვესტვეზელ-ახტერბრუკის გზაზე და ესშენიდან სამ მილზე იმყოფებიან. მტრის ჯარები, რომლებიც ტყიან ადგილებში იმყოფებოდნენ ვიტპოლ-ფის ჩრდილოეთით, ფლანგებიდან გარშემოვლილ და შემდეგ გაღლეტილ იქნენ.

21 ოქტომბერს ღამით მსუბუქი ბომბდამშენები თაკს დაესხნენ მტრის სატრანსპორტო ობიექტებს ჰოლანდიასა და გერმანიაში.

22 ოქტომბერს დღისით 1.100-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი დაახლოებით 750 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა სამხედროელო ობიექტებსა და კომუნიკაციებს — ჰამის, მიუნსტერის, ჰანოვერის და ბრაუნშვაიგის რაიონში. მძიმე ბომბდამშენთა სხვა ესკადრილიებმა, რომელთაც აგრეთვე ახლდათ ავიაგამანადგურებლები, გააფთრებული თავდასხმა მოახდინეს შიდა ნავსადგურსა და დიდმნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძ ნეისზე დიუსელდორფის ახლოს. ამ ოპერაციის მსვლელობაში მოკავშირეთა ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

სხვა შენაერთები ხელს უწყობდნენ სახმელეთო ჯარების ოპერაციებს.

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 არმიის ფრონტზე განმტკიცებულ იქნა ამას წინათ მიღწეული წარმატებანი და გაუმჯობესებულ იქნა ზოგიერთი პოზიცია. მე-8 არმიის ფრონტზე დაკავებულია პუნქტი ჩერვია. გაფართოებულია ხიდწინა სიმაგრე მდინარე სავიოზე, ჩეზენის ჩრდილოეთით.

გუშინ ავდარი ძლიერ ზღუდავდა საჰაერო ოპერაციებს.

საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შეჯახების ცნობა

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ 16 ოქტომბერს ინგლისის ხომალდებმა დესანტი გადასხეს კუნძულ ლემნოსის დასავლეთ ნაპირზე და 17 ოქტომბერს დაიკავეს ქალაქი მუდროსი. მოწინააღმდეგემ თავისი ჯარების ნაწილი კატერებითა და სხვა გემებით გაიყვანა.

ტყვედ წამოყვანილია დაახლოებით 4 ათასი კაცი.

იტალიაში მე-8 არმიის ნაწილები სდევნიან მოწინააღმდეგეს, რომელიც მდინარე სავიოსაკენ იხევს უკან. მოკავშირეთა ჯარები ფართო ფრონტით მიადგნენ ამ მდინარეს. ჩეზენა გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან, შექმნილია ხიდწინა სიმაგრე მდინარე სავიოზე ქალაქის დასავლეთით.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შეჯახების ცნობა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

ბრესკენსის რაიონში მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს ეწევიან ნავსადგურის მისადგომებზე.

მოპოვებულია ახალი წარმატება ანტვერპენის ჩრდილოეთით წარმოებულ ბრძოლებში. მოკავშირეებმა წინ წაიწიეს ვესტვეზელ-ახტერბრუკის გზაზე და ესშენიდან სამ მილზე იმყოფებიან. მტრის ჯარები, რომლებიც ტყიან ადგილებში იმყოფებოდნენ ვიტპოლ-ფის ჩრდილოეთით, ფლანგებიდან გარშემოვლილ და შემდეგ გაღლეტილ იქნენ.

21 ოქტომბერს ღამით მსუბუქი ბომბდამშენები თაკს დაესხნენ მტრის სატრანსპორტო ობიექტებს ჰოლანდიასა და გერმანიაში.

22 ოქტომბერს ღამისით 1.100-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი დაახლოებით 750 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა სამხედროელო ობიექტებსა და კომუნიკაციებს — ჰამის, მიუნსტერის, ჰანოვერის და ბრაუნშვაიგის რაიონში. მძიმე ბომბდამშენთა სხვა ესკადრილიებმა, რომელთაც აგრეთვე ახლდათ ავიაგამანადგურებლები, გააფთრებული თავდასხმა მოახდინეს შიდა ნავსადგურსა და დიდმნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძ ნეისზე დიუსელდორფის ახლოს. ამ ოპერაციის მსვლელობაში მოკავშირეთა ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

სხვა შენაერთები ხელს უწყობდნენ სახმელეთო ჯარების ოპერაციებს.

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 არმიის ფრონტზე განმტკიცებულ იქნა ამას წინათ მიღწეული წარმატებანი და გაუმჯობესებულ იქნა ზოგიერთი პოზიცია. მე-8 არმიის ფრონტზე დაკავებულია პუნქტი ჩერვია. გაფართოებულია ხიდწინა სიმაგრე მდინარე სავიოზე, ჩეზენის ჩრდილოეთით.

გუშინ ავდარი ძლიერ ზღუდავდა საჰაერო ოპერაციებს.

მდგომარეობა უნგრეთში

რეგენტი ჰორტი დააპატიმრეს და გერმანიაში გაგზავნეს

ჩერნოვცი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიოგადაცემებიდან ცხადი ხდება, რომ უნგრეთის რეგენტი (მმართველი) ჰორტი დააპატიმრეს და გერმანიაში გაგზავნეს.

ბუდაპეშტის რადიომ ცნობა გადასცა, რომ რეგენტი ჰორტი ბერლინში იმყოფება.

ჩერნოვცი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ბუდაპეშტის რადიო გადმოგვცემს, უნგრეთის გაზეთები ეწევიან კამპანიას უნგრეთში „ლაშქრის“ შესაქმნელად გერმანიის ეგრეთწოდებული „ფოლკსშტურმის“ ნიმუშის მიხედვით, რომელიც ჰიტლერის ბრძანებით ახლა ყალიბდება.

ეს კამპანია კვლავ მოწმობს იმას, რომ სალაშის „მთავრობას“ იმედი არა აქვს უხვრეთის ჯარის ერთგულებისა და ამიტომ იძულებულია, გერმანელების მსგავსად, მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ნაკარნახევია შიშითა და სასოწარკვეთილებით.

ჩერჩილი ინგლისს დაბრუნდა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს დღის მეორე ნახევარში თვითმფრინავით ლონდონს დაბრუნდა პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი.

რეიფერის სააგენტო რურის ოლქში არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გესტაპომ დააპატიმრა რურის ოლქის ოთხი ყველაზე გამოჩენილი მრეწველი მაგნატი. მათ ბრალდებათ დამარცხების მომხრე განწყობილებათა გავრცელება და აზრის გამოთქმა კაპიტულაციის სასარგებლოდ.

ცნობების თანახმად, დაპატიმრებული არიან: გერმან რეხლინგი, ალბერტ ვეგლერი, ფრიდრიხ ფლიკი და დ-რი კლეხნერი.

66 წლის რეხლინგი თავის დროზე მზარს უჭერდა ჰიტლერს, მილიონობით მარკას აძლევდა მას. იგი იყო გერმანიის „ფოლადის ტრესტის“ მეთაური და სათავეში ედგა გერმანიის ფოლადსამსმელი საწარმოების ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რეხლინგი გერმანიის შეიარაღების საბჭოს წევრია.

65 წლის ფეგლერი — ცნობილი მეცნიერი და მკვლევარი, მძიმე მრეწველობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელია.

60 წლის ფლიკი რეხლინგის უახლოესი თანამშრომელი იყო და შედიოდა შპეერის „ტეგნის ტრესტში“ როგორც ტექნიკური კონსულტანტი. იგი არის ფოლადის ფილების წარმოების ახალ პროცესთა გამომგონებელი.

კლეხნერი გერმანიის მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

საგენტოს ცნობით, რურში ჩაღდება მძლავრი ანტიჰიტლერული მოძრაობა. მასში მონაწილეობს 7-8 მილიონი მუშა, რომლებიც მიხვდნენ, რომ მოკავშირეებს ავიაციისა და არტილერიის მიერ მრეწველობის დანგრევის შედეგად ისინი უმუშევარი დარჩებიან.

წარმოება რურში კვლავ ბრკოლდება იმ შეფერხებით, რომელიც ახლავს სტარტეგიული ნედლეულის მომარაგებას და რომელიც გამოწვეულია სარკინიგზო მიმოსვლის დეზორგანიზაციით. წარმოების მოცულობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე შვედური და უკრაინული მადნის დაკარგვა. წარმოება ამჟამად შემცირებულია 30-35 პროცენტით. ნაცისტები ხმებს ავრცელებენ, რომ თუ მოკავშირეები რურის რაიონში შეიჭრებიან, მთელი ეს ერეული ოლქი დფარულ იქნება წყლით და რომ რაღაც „საიდუმლო ქიმიური ნივთიერებანი“ გამოყენებულ იქნება წყალდიდობისას, რათა გამოიწვიონ მოწინააღმდეგის არმიათა კატასტროფა.

თავდასხმა კიმღერაზე

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, ჰიტლერელ შინაგან საქმეთა მინისტრს და გერმანიის „შინა არმიის“ სარდალ ჰიმლერს, რომელიც ბუდაპეშტში ჩავიდა, თავს დაესხნენ. უცნობმა პირმა რამდენჯერმე ესროლა ჰიმლერს. ჰიმლერი დაიჭრა, მისი პირადი მცველი რაზმის უფროსი მოკლულია.

ჩეხოსლოვაკიელთა ბრიგადა დასავლეთის ფრონტზე იბრძვის

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ კანადის პირველი არმიის შემადგენლობაში გერმანელების წინააღმდეგ იბრძვის ჩეხოსლოვაკიელთა ბრიგადა. მან ინგლისში გაიარა მომზადება და პირველად გავიდა ფრონტზე.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამხედროტრანსპორტმა გამოაცხადა, რომ 21 ოქტომბერს ღამით „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს დასავლეთ გერმანიაში.

ომი წყნარ ოკეანეში

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ კუნძულ ლეიტეზე (ფილიპინები) მოქმედმა ამერიკელთა ჯარებმა დაიკავეს კუნძულის მთავარი ქალაქი ტაკლობანი. ამერიკის ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე ტაკლობანის აეროდრომი და პუნქტი დულაგი, რომელიც ტაკლობანის სამხრეთით 20 მილზე მდებარეობს. ყველა სექტორში ამერიკის ჯარებმა წინ წაიწიეს საშუალოდ 4 მილით.

მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა იაპონელთა ობიექტებზე ფილიპინის კუნძულებზე.

უცხოეთის ქრონიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტრუირებულია 92 ტონა წონის ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავი. მას შეუძლია წაიყვანოს 149 მგზავრი და რეისები აწარმოოს 3.500 მილ მანძილზე საათში 288 მილი სიჩქარით.

* * *

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ინგლისმა სამხედრო საჭიროებისათვის დახარჯა 23.893 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

* * *

ამერიკულმა ჟურნალმა „ლაიფმა“ მთელი რიგი მასალები მიუძღვნა საბჭოთა მეცნიერებს. ჟურნალში დაბეჭდილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 26 ყველაზე გამოჩენილი წევრის ფოტოსურათები.

* * *

გერმანელები ემზადებიან იმისათვის, რომ ნორვეგიიდან გერმანიაში გაიტანონ ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა. შექმნილია სპეციალური კომისიები, რომლებიც ადგენენ ნორვეგიის საწარმოთა მოწყობილობის სიებს.

* * *

ზედიზედ მე-8 ღამეა, რაც სამხრეთ ინგლისის რაიონებში ჩნდებიან თვითმფრინავ-ყუმბარები. 18 ოქტომბერს ღამით მათ ბევრი სახლი დაზიანეს და დაანგრიეს სამხრეთ სანაპიროს ერთ-ერთ პუნქტში.

* * *

ფრანგ მწერალთა ნაციონალურმა კომიტეტმა მწერალთა და ჟურნალისტთა ორგანიზაციებიდან გარიცხა ბეჭდვითი სიტყვის ყველა მუშაკი, ვინც გერმანელთა ოკუპაციის განმავლობაში მტერს ეხმარებოდა, მათ შორის პიერ ბენუა, შატობრიანი, რენე ბენჟამენი და სხვები. (საკდესი).

ამიერ-კავკასიის ფრონტის მე-19 სპარტაკიადა. ფიზკულტურელთა საჩვენებელი გამოსვლები (მარცხნიდან მარჯვნივ) — სსრ კავშირის სპორტის ოსტატი თამაზ ყაიფშვილი ვარჯიშობს ორძელზე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე ბადროს სტყორცნის; სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. კასიანიკი ვარჯიშობს ღერძზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

დამთავრდა ამიერ-კავკასიის ფრონტის XIX სპარტაკიადა

22 ოქტომბერს დამთავრდა ამიერ-კავკასიის ფრონტის სპარტაკიადა, რომელიც 7 დღეს გაგრძელდა.

სპარტაკიადაში მონაწილეობდა 1,650 კაცი.

სამხედრო სასწავლებელთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ქვეითი ჯარის მეთაურთა დახელოვნების კურსების სასპორტო კოლექტივი. ჯარის ქვეგანაყოფთა შორის პირველი ადგილი დაიკავა № 4 სასპორტო კოლექტივმა (ფიზიკური მომზადების უფროსი ლეიტენანტი ლორთქიფანიძე). შეჯიბრება მოეწყო აგრეთვე სასპორტო თამაშობაში (ფეხბურთსა და კალათბურთში). პირველობა კალათბურთში მოიპოვა ქვეითი ჯარის ოფიცერთა დახელოვნების კურსების კალათბურთელთა გუნდმა. ფეხბურთში პირველ ადგილზე გამოვიდა № 8 სასპორტო კოლექტივის ფეხბურთელთა გუნდი.

ჯარის ქვეგანაყოფთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს: მძღოლსნობაში—№ 2 სასპორტო კოლექტივმა; ხელჩართულ ბრძოლაში —№ 4 სასპორტო კოლექტივმა; ცურვაში — № 3 სასპორტო კოლექტივმა და გიმნასტიკაში—№ 1 სასპორტო კოლექტივმა.

დაბრკოლებათა ზოლის გადალახვისას აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებული გამოვიდა უფროსი სერჟანტი ნ. ახვლედიანი. ესასდრონებით ფარიკაობაში პირველი ადგილი დაიკავა ა. აგაროვმა.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის წყლის აუზში გაიმართა შეჯიბრება ცურვაში. მამაკაცთათვის თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა № 3 სასპორტო კოლექტივის წარმომადგენელმა ბ. კალანდაძემ. „ბრასის“ სტილით 100 მეტრზე ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა ილინმა.

ინტერესით ჩაიარა შეჯიბრებამ მძლეოსნობაში. 100 მეტრზე მამაკაცთა გარბენაში პირველობა მოიპოვა მესამე სასპორტო კოლექტივის წარმომადგენელმა სერჟანტმა ლომაია. მისი დრო არის 12,3 წამი.

3,000 და 5,000 მეტრ დისტანციაზე რბენაში გაიმარჯვა ლეიტენანტმა ულანოვმა.

გვარდიის ლეიტენანტი ათანლოვი გაჭენებით ახტა 1 მეტრსა და 80 სანტიმეტრ სიმაღლეზე. ბადროს ტყორცნაში მამაკაცთა შორის პირველობა მოიპოვა ვ. ბარკალაიამ. მან შედეგია 36 მეტრი და 82 სანტიმეტრი.

სპარტაკიადის დასასრულს შესდგა სასპორტო საჩვენებელი გამოსვლები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტის დამსახურებულ ოსტატებმა ნ. დუმბაძემ, მ. კასიანიკმა, სპორტის ოსტატმა ე. გოიერმა და სხვ.

სპარტაკიადის მთავარი მსაჯი პოლკოვნიკი ოსიავა კითხულობს ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდლის ბრძანებას მე-19 სპარტაკიადის შედეგების შესახებ. შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა მოკლე სიტყვით მიმართა ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალმა არმიის გენერალმა ი. ტიულენევმა, რომელმაც მადლობა გამოუცხადა სპარტაკიადის ყველა მონაწილეს.

ანდრია რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა

21 ოქტომბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმეთა დარბაზში შესდგა სხდომა, მიძღვნილი დიდი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის ხსოვნისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა, პროფესორმა ვ. კუპრაძემ.

მოხსენებით—ა. მ. რაზმაძის შემოქმედება და ბედაგოგიური მოღვაწეობა — გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ლ. გოკიელი. მომხსენებელმა აღნიშნა ა. რაზმაძის უდიდესი დამსახურება მათემატიკური მეცნიერების განვითარებაში.

დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი აკადემიკოს შ. ნუცუბიძის მოხსენება ა. მ. რაზმაძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. მომხსენებელი ფაქიზად შეეხო ანდრია რაზმაძის დამსახურებას, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში.

ა. რაზმაძის შესახებ მოგონებით გამოვიდნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ხარაძე, რომელმაც მოიყვანა საინტერესო ეპიზოდები გამოჩენილი მათემატიკოსის ცხოვრებიდან.

თეატრებში

24 ოქტომბერს: სახელმწიფო ოპერა — „რიგოლეტო“. რუსთაველის სახელობის — „სამშობლო“. მარჯანიშვილის სახელობის — „ჭიანჭველა ცოლის მორჯულება“. გრიბოედოვის სახელობის—„უკანასკნელი მსხვერპლი“. სომხური—„დაქცეული ოჯახი“. ახუნდოვის სახელობის — „5-მანეთიანი საცოლე“. მუსიკალური კომედიის — „არშინ-მალ-ალან“. სანკუალტურის—„სტუმარ-მასპინძლობა“. მოზარდ მაყურებელთა ქართული—„ჩექმებიანი კატა“.

კინოებში

24 ოქტომბერს: რუსთაველის სახელობის ოქტომბერი და დამკვრელი—„გრიგალი“, კომკავშირელი—„უმნიშვნელო პატარძალი“, სპარტაკი—„მზიური ველის სერენადა“. ლუსუმბურგის სახელობის—„მასწავლებელი“. 26 კომ. სახელობის—„ვოლგა-ვოლგა“. მეცნიერება და ცოდნა—„შვიდი მამაცი“.

პასუხისმგებელი რედაქტ